№ 238 ნოემბერი 13, პარასკევი 1887 ნოემბერი 13, პარასკევი № 238


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . | 10 | — | 6 . . | 6 | — |
| 11 . . | 9 | 50 | 5 . . | 5 | 50 |
| 10 . . | 8 | 75 | 4 . . | 4 | 75 |
| 9 . . | 8 | — | 3 . . | 3 | 50 |
| 8 . . | 7 | 25 | 2 . . | 2 | 75 |
| 7 . . | 6 | 50 | 1 . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პრისპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

კნეინა ნინო სვიმონ აბაშიძის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა, აუწყებს რა, რომ ამ თთვის 14-ს, შაბათს, დილის 9 1/2 საათზედ, ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკკლესიაში იქნება ორმოცის წირვა განსვენებულის მეუღლის მისის თავად გრიგოლ კონსტანტინეს ძის ჯამბაკურიან-ორბელიანის მოსახსენებლად, სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა სცენ პატივი, მობრძანდნენ და დაესწრნენ წირვაზედა.

დაიბეჭდა და ისყიდება

დამაკვირდი

ანუ

აფორიზმები, ძველთა და ახალთა ბრძენთა, მეცნიერთა და გამოჩენილთა კაცთა მიერ თქმულნი.

წიგნი შეადგინა „ივერიის" რედაქციამ.

ფასი ათი შაური.

საუნჯე ქართულის ენისა.

ახალი ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა

იყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში, I ნაწილის ფასი 3 მან.

(წიგნი განიყოფება სამ ნაწილად. ჯერ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც ასო „ლ"-ზეა შეწყვეტილი. დანარჩენიც იბეჭდება. ახალი ლექსიკონი ბ-ნ ჩუბინაშვილისა ბევრით განირჩევა იმისავე „ქართულ-რუსულის ლექსიკონისაგან". ახალ ლექსიკონში უფრო მეტი სიტყვებია მოქცეული, სიტყვები ქართულადვე არის ახსნილი, ნაჩვენებია აგრეთვე, რომელს მწერალს, ძველს თუ ახალს, აქვს ნახმარი ეს სიტყვა, რომელს თხზულებაში, რომელ გვერდზე და ზოგან მთელი ფრაზაც არის მოყვანილი, სადაც სიტყვა ხმარებულია. შემდეგ სიტყვა რუსულად არის ნათარგმნი.)

ტფილისი, 12 ნოემბერი

ერთი დიდი ნაკლულევანება ჩვენებურის სოფლებისა ის არის, რომ არავითარი წესი და რიგი არა აქვთ ჭირნახულის და ნაამაგევის გაფრთხილებისათვის. წანახედობა ჭირნახულისა, ვენახებისა, ბაღებისა და ბოსტნებისა მეტად დიდს ზიანს აძლევს სოფლებსა და ეს ზიანი მით უფრო საგრძნობელია, რომ უზღვევი ჰრჩება ხოლმე. რასაკვირველია, ამისი თავდაპირველი მიზეზი იქიდამ წარმოსდგება, რომ თითქმის არც ერთს სოფელს განსაკუთრებულად არა აქვს გადადებული ადგილი საძოვრებისათვის. საძოვრად სოფელს ჰრჩება ხოლმე მარტო ის მიწები, რომელიც, ჩვენში მიღებულ ჩვეულებისამებრ, ისვენებს მეორე წლისათვის. რადგანაც ამისთანა მიწები შიგა-და-შიგ არის ხნულებსა და ნათესებში მოყოლილი, ამათი გამოყენება საძოვრად უიმისოდ არ იქნება, რომ საქონელმა გზად მაინც ხახნავ-ნათესობა ფეხით არა ჰთელოს, თუ არ გადასძოვს.

თქმა არ უნდა, რომ ამ შემთხვევაშიაც შესაძლო არის კაცმა წამალი რამ დასდოს სოფლის გაჭირებას. ამისათვის საკმაოა სოფელმა ერთხელ და ერთხელ წესად დაიდგინოს, რომ ერთს წელიწადს მარტო ერთ მხრივ მოიხნას და მოითესოს მიწები და მეორე წელს მეორე მხრივ. მაშინ საქონლის საძოვრად ერთიანი ნაჭერი ექმნებოდა საველსა და საქონელს მიზეზი აღარ მიეცემოდა საძოვრის მისაწდომად ნახნავ-ნათესობა ელახა და ეფუჭებინა.

ხოლო მარტო ეგრედ ერთ ნაჭრად დაგდება მიწებისა საძოვრად ბევრს არას მოასწავებს, თუ მეორე მიზეზსაც არა ეშველა-რა. ეს მეორე მიზეზი ის არის, რომ ხშირად სოფლისათვისაც არა საკმაო საძოვრებზედ სიხარბე ერთისა და ორის სოფლად მცხოვრებელისა დიდს ძალს ფარებს ცხვრისას, ღორისას, ზოგჯერ ჯოგისას და მოცადის საქონლისას ჩააყენებს ხოლმე სოფლის მამულებში და უთვალივე ესენი ისე მოსცოხნიან ბალახსა, რომ სოფლის მუშა-საქონელი ვეღარ იკვებება თავისუფალ მიწებზედა. იმისთანა სოფელი, როგორც მაგალითებრ, ყვარელია თელავის მაზრაში, ამ მიზეზით იძულებულია მუშა-საქონელი შემოდგომით ხოლმე შერეკოს ვენახებში და ვენახის ბალახით ჰკვებოს. შემოდგომა იმისთანა ხანია, როცა ვენახებში გაცხარებული ბარვაა და ვაზის წვენა. აბა რა ხეირს დააყრის ან ნაბარს, ან დაწვენილს, ან ახლად ჩაყრილს ვაზს საქონლის ფეხი და საქონლის ხეტება.

ამ გზით ისე ჰფუჭდება ვენახები, ისე ამაოდ ეკარგება ვენახის პატრონს ამაგი და ხარჯი, რომ გვიკვირს კიდეც, გული როგორ-ღა ჰრჩებათ იქაურებს ვენახების კეთებისათვის. რამდენი სხვაგან არის ამისთანა ამბავი. ახლა იფიქრეთ, რამოდენი ზარალი მოსდის ამ გვარის წყობილებისაგან მთელს მხარეს, რამ ოდენა მოსავალი აკლდება ქვეყანას!.. თუ ცალკე კაცი შესაბრალისი არ არის ამ შემთხვევაში, დიდი ცოდვაა კაცმა არ შეიბრალოს მთელი მხარე, მთელი სოფლობა მაინცა. აუარებელი სიმდიდრე იღუპება ტყუილ-უბრალოდ მარტო იმის გამო, რომ ამ მხრით ამ საგანს ყურს არავინ ათხოვებს.

ჩვენ გვახსოვს ამ შვიდისა, თუ რვა წლის წინად ერთი ამისთანა სოფელი, საცა დიდ-ძალი ვენახები ერთი-ერთმანერთს ზედ-მოკიდებული, შეიყარა და სურვილი გამოაცხადა ხსენებულ უბედურებისათვის რამე ღონე ეღონა. სოფელში რვა ასი ცხრა ას—კომლი მკვიდრია და გლეხთა გარდა მებატონენიც და სამღვდელოთაგანი ბევრნი ცალკე მამულის პატრონები არიან. სოფელმა ესენიც მოიწვია და ამათის ნება-ყოფლობით განაჩენი შეადგინა და სხვათა შორის დაადგინა, რომ არამც და არამც ვენახებსა და ჭირნახულში საქონელმა საძოვრად არ იაროს. სოფელი ისეთი შემძლებელია და ისეთი მოწადინებული იყო ამ საქმეში წესი რამ ჩამოეგდო, რომ არ დაიშურა და ოც-და-რვა კაცი დანიშნა სოფლის მოვლისა და პატრონობისათვის იმ განაჩენის თანახმად.

ეს განაჩენი, სოფლის სასიხარულოდ და საბედნიეროდ, რამდენსამე ხანს მოქმედობდა და სოფელმა ძლივს მოისვენა გაფუჭებისა და წანახედობისაგან. ხოლო მერე რადაც ხიფათი შეემთხვა და ის განაჩენი გაუქმებულ იქმნა იმ მიზეზით, ვითომც—და უკანონოაო.

რამოდენად უკანონო იყო ეს განაჩენი სოფლისა, ეს იქიდამა სჩანს, რომ თვითონ ბ-მა შინა—საქმეთა მინისტრმა დღეს ყურადღება მიაქცია სოფლის ამ მხრით უმწეობას და უნუგეშობას და ცხადი სურვილი წარმოსთქვა—ამ საქმეს შემწეობა და ნუგეში რამ აღმოუჩინოს. ბ-ნს მინისტრს ამ საგანზედ შემდეგი ცირკულიარი გაუგზავნია საგუბერნიო და სამაზრო ერობათა კრებათათვის, რომ წინადადებანი ცირკულიარისა გასინჯონ და თავიანთი აზრი წარმოსთქვან:

ზოგიერთმა საგუბერნიო და სამაზრო ერობათა კრებამ იშუამდგომლა სამინისტროს წინაშე, რომ: 1) მინდვრებისა და სათიბების დასაცველად წანახედისაგან შევსებულ იქმნენ აწ მომქმედი წესები მით, რომ ნაცვალი (сельскій староста) იმა სოფლისა, რომელსაც ეკუთვნის წანახედის ჩამდენი საქონელი, მოვალე იყოს აღმოაჩინოს და იპოვოს პატრონი საქონლისა და წახდენილის ჭირნახულის პატრონს ნება მიეცეს წანახედის საზღაური გადაახდევინოს მთელს სოფელს მისთა წევრთა ურთიერთის თავდებობითა; 2) დავალებულ იქმნას თვითეული სოფელი,—

## ფელეტონი

### ზამთარი მთაში

(გიუ დე-მოპასანისა)

(დასასრული*)

მეორე დღეს ულრიხს თითქმის არა უჭამია-რა, სმით-კი ძალიან ბევრი სვა; ასე მიდიოდა დღეები. მოაგონდებოდა თუ არა კასპარი, მაშინვე არაყს დაუწყებდა სმას და სვამდა იმ დრომდე, ვიდ'რე ტორტმანს არ დაიწყებდა სიმთვრალით და არ დაეცემოდა ძირს გონება-დაკარგული. რაკი დაეცემოდა, ეგდო მკვდარივით პირქვე, სახსრებში დამტვრეული, და უცნაურად ხვრინავდა. მაგრამ გაუვლიდა თუ არა სიმთვრალე, გამოფხიზლდებოდა თუ არა არაყი, კვლავ მოესმოდა იგივე ყვირილი, იგივე ძახილი „ულრიხ!" ტყვიასავით მოხვდებოდა ხოლმე თავში...

და აი ულრიხი კვლავ დაჭრილ ნადირსავით ფეხზედ დგებოდა, ტორტმანებდა, ხელები წინ გაეწოდა და უძახდა სამს, მიშველეო...

თითქო ძაღლმაც ჭკუა და გონება დაჰკარგაო, ისიც პატრონივით მივარდებოდა კარებს, გაშმაგებით ფხაჭნიდა ბრჭყალებით, ღრღნიდა თავის თეთრისა და მაგარის კბილებით, ვიდრე ულრიხი კვლავ ბოთლს არ წაავლებდა ხელს, არ მოიყუდებდა და უკან თავ-გადაგდებული არ დაჰლევდა ისეთის წყურვილით, თითქო დაღლილს კაცს წყალი მოსწყურებია და სვამსო. რაკი სიმთვრალით გაბრუვდებოდა, აზრი ყმაწვილის-კაცისა აღარა მოქმედებდა, კასპარი აღარ აგონდებოდა და შიში და ძრწოლა ჰქრებოდა და აღარ აწუხებდა.

ამ სახით სამს კვირაში გაათავა ულრიხმა საზამთროდ შენახული არაყი და ამ არაყის სმას ის მოჰყვა, რომ ტანჯვა და წამება, არაყის დალევით გაყუჩებული, გამოფხიზლების შემდეგ უფრო მეტის ძლიერებით შეიპყრობდა ხოლმე საცოდავს ულრიხსა. სულელურმა, გიჟურმა აზრმა და იდეამ, რომელიც ერთხელ და ერთხელ ჩაესახა თავში, გაიზარდა და გაივსო ულრიხის უგუნურის სიმთვრალითა და მარტოობითა, ეხლა მთელი მისი არსება შეიპყრო და დაიმონა; ეხლა ულრიხი ისე დარბოდა თავის ოთახში წინ და უკან, თითქო გალიაში დამწყვდეული ნადირიაო, დარბოდა და წამ-და-უწუმ ყურს ადებდა კარებს, თითქო იმედი აქვს, რომ ნამდვილად გავიგონებ იმის ხმას, ვინც, იმის აზრით, გარედ იყო, კარებს უკან. როცა ამ სირბილით დაღლილსა და დაქანცულს ძილი მოუვიდოდა, მაინც კიდევ იგივ ძახილი ჩაესმოდა ყურში და კვლავ გიჟივით, რეტიანივით წამოვარდებოდა ხოლმე ფეხზედა.

ერთს ამ ნაირს ღამეში ულრიხი წამოხტა და განწირულის გამბედაობით ეცა კარებს და გააღო; უნდოდა დაენახა ერთხელ მაინც ის, ვინც ყოველს წამსა და საათს ასეთის აჟანებით ეძახდა.

მძაფრი ქარი ეცა თავ პირში ულრიხს და მაშინვე ძვალსა და რბილში დაიარა. სწრაფად მიჰკეტა კარები და გაუგდო ურდული; აღელვების გამო ის-კი ვეღარ შეამჩნია, რომ იმ დროს, როცა კარი გააღო, სამი გარედ გავარდა. აკანკალებულმა და სიცივით აცახცახებულმა ულრიხმა შეაყარა ბუხარს შეშა და მიუჯდა ახლო ცეცხლს გაყინულის ძვლების გასათბობად...

უცებ მოესმა, რომ გარედ ვილაც ფხაჭნის კარებს, ღრღნის კარების ძირეს, ბრდღვნის დედამიწას და თითქო სტირის და კვნესისო...

— შორს ჩემგან, გამეცალე! შეჰყვირა ულრიხმა განწირულის ხმით.

ამ ყვირილის პასუხად გარედამ კვლავ მოისმა კვნესა და გულ-საკლავი წუხილი...

მაშინ-კი სრულად დაჰკარგა გონება საცოდავმა და აუწერელმა შიშმა ზარივით დაუარა ტანში. შეჰყვირა კიდევ „შორს ჩემგან, გამეცალეო!" და თვალების ბრიალითა და ცეცებით დაუწყო ძებნა ისეთს კუნჭულსა და ალაგს, საცა შეეძლო დამალულიყო. ამ დროს ის, ვინც გულ-საკლავად წკმუტუნებდა და ღმუოდა გარედ, სახლს ურბენდა გარეშემო, ფხაჭნიდა და ღრღნიდა კედლებს ხან ერთგანა და ხან მეორედგან. ულრიხი მივარდა დიდს საჭურჭლე შკაფს, ყოველის ხაფანგარათი და სალევველით სავსეს, წარმოუდგენელის ძალით გამოსწია ეს საშინელი სიმძიმე, მოაცოცა კარებისაკენ და გაჰხიდა კარები. შემდეგ შეჰკრიბა ყოველივე ვეჯი, ლეიბები და სხვა და ამოჰქოლა ფანჯარა. ამ სახით უნდოდა ულრიხს დაეცვა თავისი თავი იმისაგან, ვინც, იმის აზრით, გარედ იყო, თითქო გარეშემო ალყა აქვს შემორტყმული სახლსაო...

ის, ვინც გარედ იყო, საცოდავი და საბრალო სამი, გულ-საგმირავის ხმით ჰყეფდა, ღმუოდა, იტანჯებოდა ადამიანსავით, მაგრამ იმის განწირულს ყეფას და კვნესას ისეთისავე განწირულის ტირილითა და ქუხილით ეპასუხებოდა სახლში ჩაკეტილი უგუნური ადამიანი.

ასე გაიარა დღემ და ღამემ, ერთმა, მეორემ. გარედ მყოფი და შიგნით მყოფი თითქო ერთმანერთს ეჯიბრებოდნენ, ღმუოდრენ და კვნესოდნენ განუწყვეტლივ; ერთი გარს უვლიდა სახლს სირბილით და ისეთის ძალით ღრღნიდა და ფხაჭნიდა კედლებს ბრჭყალებით, რომ კაცს ეგონებოდა, ან ეხლა გამოანგრევს კედელს, ან ეხლაო; მეორე-კი დარბოდა შიგ სახლში და თვალ-ყურს ადევნებდა, საით წავიდა პარველიო, იკუზებოდა, ყურს ადებდა კედელს და როცა ერთი ღმუოდა და კვნესოდა გულ-საკლავად, მეორეც პასუხად ასევე გულ-საკლავად ღმუოდა და კვნესოდა...

ბოლოს დასაღამოვამდა და ულრიხს აღარავითარი ხმა აღარ შემოესმოდა. მაშინ ჩაჯდა სავარძელში და მოღლილმა და მოქანცულმა იმ წამსვე დაიძინა...

როცა გაეღვიძა, აღარავითარი აზრი

*) იხ. „ივერია", 1887 წ. № 236.

სასოფლო მწყემსი და მეველები იყოლიოს დასაცველად ტყეებისა, საძოვრებისა, ბაღებისა, ვენახებისა და სხვა მამულებისა უპატრონოდ თავ-მინებებულ საქონლისაგან; 3) მომრიგებელ-მოსამართლეთაგან დასადგენ სასჯელთა წესდების 153 მუხლი*) გაუქმებულ იქმნას იმ შემთხვევათათვის, თუ ვინიცობაა ქინახულის პატრონმა წანახედში მოჰკლა შინაური პირუტყვი, რომელიც, როგორც მაგალითებრ ბატი და ღორი, ყველაზედ მეტს ზარალს აძლევს მინდვრებსა, ხათიბებსა და ვენახებსა.

რუსეთის გაზეთები დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ ამ მართლა და საკეთილდღეო სურვილს ბ-ნ მინისტრისას და ჩვენში-კი ესევე სურვილი უკანონოდ ცნობილ იქმნა. ის განაჩენი, რომელიც ჩვენ ზემოდ მოვიხსენიეთ, არამც თუ ამ ცირკულიარის დედა-აზრზედ იყო მთლად აგებული, არამედ თვითვეული მუხლიც ამ ცირკულიარისა შიგ ჩართული იყო თითქმის ისე, როგორც დღეს ამ ცირკულიარშია. მაშინ ამ შვიდსა თუ რვა წლის წინად დადგენილ საქმეს წინ გადაეღობნენ და ეხლა-კი, როცა თვით მინისტრს საჭიროდ დაუნახავს, იმედი უნდა გვქონდეს, რომ წინანდელი უვიცობა ამ საქმეს წინ ვეღარ მიეგებება გადასაღობებლად. ჩვენ მარტო ეს უნდა ვისურვოთ, რომ ამ ბ-ნ მინისტრისაგან კეთილად განზრახული საქმე ჩვენც გვეწვიოს ჩვენის სოფლების საკეთილდღეოდ.

## ახალი ამბავი

*** მზადდება და მალე დაიბეჭდება სურათებიანი პაწაწა ქართული ანბანი. სილამაზით და სიაფით ეს ახალი გამოცემა ყველა მის მაგვარ წიგნებს, რომლებიც უკვე არსებობ ქართულს ენაზედ, ბევრად თურმე აჯობებს. როგორც ამბობენ, ანბანი დანიშნული იქნება სულ პატარა ბავშვებისათვის.

*) ამ 153 მუხლის ძალით სასჯელია დადებული, ვინც სხვის პირუტყვს მოჰკლავს ან დასჭრის, თუნდა წანახედშიაც მოასწროს.

*** ბ-ნს ჩარკვიანს განუზრახავს ცალკე წიგნად დაბეჭდვა ბ-ნ ალ. მირიანაშვილის ნაწერისა, რომელიც დაიბეჭდა „ნობათში“ და სახელად „ჰავარი და მისი თვისებანი“ ეწოდება.

*** ერთს ყმაწვილ-კაცს გადმოუთარგმნია ქართულად გეტეს დრამა „კლავიგო“. იგივე ყმაწვილი ამ ჟამად სთარგმნის შექსპირის დრამას — „რომეო და ჯულიეტა“.

*** ვარანცოვის ძეგლთან, სადაც ცხენ-მავალა დგება, ამას წინად ორ საათზე ერთს სოფლელს ურმით შეშა მოჰქონდა. პოლიციელმა № 246 უწყალოდ დაუწყო ცემა თავ-პირში. გაშეშდა საწყალი უბრალოდ ბრალდებული გლეხი და ხმას ველარ იღებდა. კიდევ დიდხანს გასტანდა ამ გვარი ულმერთო ქცევა პოლიციელისა, რომ ორი გამვლელი არ წაჰქომაგებოდა საწყალს გლეხს და არ დეეტუქსათ პოლიციელი.

*** სიღნაღი: 1 ნოემბერს სიღნაღის მაზრის სამმართველოში, შემდეგ წლოვანობის სიების შესწორებისა, სალდათ-კაცოდ მოწოდებულთა ამოაღებინეს ბილეთები. შეხვდათ თოთხმეტს; ამათში 8 სომეხია და 6 ქართველი. ესენი სიღნაღის მოქალაქეებმა, დედ-მამამ, ნათესავებმა და ნაცნობებმა, 8 ნოემბერს დიდის ამბითა და ყოფით გააცილეს ყვარელისაკენ.

12 ნოემბერს უნდა ამოიღონ კენჭი კარდანახიდგან, ბაკურციხიდგან, ვეჯინიდგან და გურჯაანიდგან ჯარისკაცებად გამოწვეულთა.

*** გაზ. „С.-Петер. Вѣдом.“-ში ვკითხულობთ, რომ ნავთის მილის გაყვანა ბაქოდამ შავ ზღვამდე უკვე გათავებულაო. კონცესია მილის გაყვანისა დარჩენია სამთო ინჟენერს ილიმოვსა.

*** მოსკოვის გაზეთები იუწყებიან, რომ ახალი ეგზარხოსი საქართველოსი, ყოვლად უსამღვდელოესო პალადი, უკვე წავიდა მოსკოვიდამ კავკასიაშიო.

*** გაზ. „Новости“-ში მოყვანილია ცნობანი საგეოგრაფიო საზოგადოების კრებაზე, რომელიც მოხდა 4 ნოემბერს პეტერბურგში. კრებას მოხსენდა ანგარიში იმისა, თუ რა გაუკეთებიათ ამ საზოგადოების განყოფილებათა 1886 წლის განმავლობაში კავკასიისა და აღმოსავლეთ ციმბირის შესასწავლელად. გაზეთის სიტყვით, ანგარიშიდამ სჩანს, რომ საზოგადოებას, თუმცა შეძლებით ღარიბს, ძლიერ ბევრი საქმე შეუსრულებია, ნამეტნავად კავკასიის გამოკვლევაზე კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებია ვრცლად აღწერილი გეოგრაფიულად, ზოოლოგიურად, ანტროპოლოგიურად და ეტნოგრაფიულად. ამ საქმეურ შესწავლაში ძლიერ დიდი დახმარება აღმოუჩენია გამომკვლევველთათვის ადგილობრივს მთავრობასა.

*** გაზეთ „Свѣтъ“-ის სიტყვით ფინანსთა სამინისტროს შეუტანია სახელმწიფო რჩევაში წარდგენა იმის თაობაზედ, რომ ამიერ-კავკასიაში შემოღებულ იქმნას საერო გარდასახდი მიწისა იმ მამულებზე, რომელთა პატრონები სულზედ გარდასახადს არ იხდიან. წარდგენილის პროექტით ამ გარდასახადს არ შემოიტანენ მხოლოდ ყარსის ოლქაში, არტვინისა, ბათუმისა და სოხუმის ოლქებში.

*** იმავ გაზეთში ვკითხულობთ, რომ მალე შეუდგებიან დაბოლოვებითს გამოკვლევას იმის გამო, რომ ბექათუბნიდამ გაიყვანონ რკინის გზის ლიანდაგი სურამის გვირაბამდე. ახალ ლიანდაგის სიგრძე ექვს ვერსამდე იქნებაო.

*** გაზ. „Кавказъ“-ი აღნიშნავს უვარგისობას იმა გზისას, რომელიც მიდის კუკიის სასაფლაოსაკენ. მეტადრე ნაწვიმებზეო, ამბობს გაზეთი, ტალახის მორევი შეუძლებელსა ხდის სიარულს ამ გზაზედა. ქვა-ფენილი სრულებით არ არის ამ გზაზედ, ასე რომ ტალახში არა თუ მხედარის ეტლს უძნელდება გავლა, თვითონ ფაიტონებიც ძლივს დადიან და ქვეითი მოსიარულენი ხომ სულ მუხლებამდინა ცვივიან ტლაპოშიო.

*** როგორც გაზ. „Тиф. Листокъ“-ი ამბობს, ტფილისის რუსულ თეატრში მოსიარულე საზოგადოება ძრიელ ემდურება უხერხულ მოწყობილებას ამ თეატრისას გარდა იმისა, რომ უწმაწური ადგილები მეტად ახლოა და მუდამ საშიშოა, რომ იქ კაცი არ გაცივდესო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ვანათი (პატარა ლიახვის ხეობა). ამ ოციოდე წლის წინად სამხრეთ ოსეთში მღვდლები დავალებულნი იყვნენ მთავრობისაგან, რომ გაემართათ თავიანთ მრევლში სკოლები, სადაც ადგილობრივ გლეხთა შვილებს შესძლებოდათ წერა-კითხვის სწავლა. მართლაც, ბევრმა მათგანმა კიდეც გამართა სამრევლო სკოლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სკოლებს დიდი დღე არა ჰქონდა და სხვა-და-სხვა მიზეზების გამო მალე გაუქმდა, მხოლოდ პატარა ლიახვის ხეობას კარგა ხანს შერჩა ოთხი სკოლა: ჯავასსა და ვანათში, ყორნისსა და როკიში; ეს უკანასკნელიც ამ ექვსის წლის წინად დაიკეტა. ამ გვარად სამხრეთ ოსეთში დარჩა სამი სკოლა. მოხსენებულ სკოლებში ამ ორ წლამდის სწავლა მიდიოდა ქართულ და რუსულ ენებზედ; შემდეგ-კი ყორნისის და ჯავის სკოლებში შემოიღეს ოსური ენა. ქართულ ენასა და ოსურსა მხოლოდ ვანათის სკოლაში ასწავლიან. იმისთვის-რომ ყმაწვილებს სკოლიდგან გამოსვლისას არ დავიწყებოდათ ის, რაც სკოლაში შეიძინეს, ჩემს წინა მოადგილეს ბ-ნ კ. ცხვედაძეს ვანათის სკოლაში გაუმართავს კარგი წიგნთ-საცავი. ამ წიგნთსაცავში საკმაოდ მოიპოვება სხვა-და-სხვა ქართული და რუსული წიგნები. მოხსენებულ წიგნების შესანახავად ცხვედაძეს შეუკრებია ხელის-მოწერით ფული და ამითი უყიდნია სკოლისათვის მშვენიერი შკაფი, სადაც რიგზედ აწყვია კატალოგში ჩაწერილი დანომრილი წიგნები. გარდა ამისა ამავე მასწავლებლის და განსვენებულის ბლაღოჩინის მღვდლის ლ. ფილიშვილის მეცადინეობით დაუდგენიათ რამდენსამე საზოგადოებას განაჩენი შესახებ თავ-შესაფარის აშენებისა, რომელშიაც შესძლებოდათ სხვა სოფლელებს დაეყენებინათ თავიანთი მოსწავლე ყმაწვილები. ეს განაჩენები უკვე წარდგენილ არიან დასამტკიცებლად სადაც ჯერ არს.

ფრიად სასურველია, რომ ეს კეთილად დაწყებული საქმე მალე განხორციელდეს, რადგანაც ზოგიერთი მოსწავლენი ხუთი-ექვსის ვერსტის სიშორე სოფლებიდგან დადიან სკოლაში და, რასაკვირველია, დიდ წვალებაში არიან საცოდავები, მეტადრე ზამთარში. გარდა ტანჯვა-წვალებისა ხშირად დიდი შიშიც უნდა გამოიაროს ხოლმე შორის სოფლიდგან მომავალმა შეგირდმა, რადგანაც გზები გარემოცულნი არიან ტყით, სადაც არა იშვიათად ხვდება ნადირი. წარმოიდგინეთ, მკითხველო, თუ რა შიში და ელდა უნდა გამოეარნა იმ საცოდავ მოსწავლეს, რომელიც, როგორც მიამბეს, შარშან ზამთარში გზაზედ მგლებს კინაღამ არ შეეჭამათ. კიდევ კარგი, რომ ბავშვს მისდა საბედნიეროდ მგზავრები შეჰყროდნენ და გადაერჩინათ საცოდავი.

ვანათის სკოლის მასწავლებელი
ზ. ოქუაშვილი

## წერილი კახეთიდამ

არა იშვიათად შეხვდები, მკითხველო, გაზეთის ფურცლებზე სოფლის მოხელეების ავ-კარგიანობის ამბავს. მართალია, ხანდისხან გამოერევა ხოლმე სოფლის მოხელეების ქება, მაგრამ ეს მხოლოდ წელიწადში ან ერთხელ, ან სულაც არა! მომეტებულად სოფლის მოხელეების უვარგისობაზე ხოლმე ლაპარაკი გაზეთში. იმათ უვარგისობას ზოგი უსწავლელობას აწერს, ზოგი გაუთლელობას, ზოგი რეგვნობას, ზოგი გამოუცდელობას და სხვასა.

დიაღ! ასე წაღმართად ტრიალებს სოფლის და იმის მოხელეთა ყოფა-ცხოვრება. რასაკვირველია, ყველა მოამბეს თავისის სიმართლის საბუთი ხელში უჭირავს, მაგრამ, სწორედ რომ ვსთქვათ, ზემო-აღნიშნული საბაბი სულ ყოველთვის არ ამართლებს სოფლის მოხელეთა დამწუნებელს. უსწავლელობა რომ ბევრ საქმეს წესიერად არ აგვარებს, ამას ლარი და ხაზი არ უნდა და თუ დამეთანხმებით, ეს მიზეზი სოფლად-კი არა, ქალაქ ადგილასაც მოქმედობს; და ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, მანამ სრულიად გაუქმდება. სხვა მიზეზები-კი ხშირად სიტყვის მასალად და ამბის გასამკვახებლად მოჰყავთ მოამბეთ! განა, სულ ქვეშ რომ თქვას კაცმა, სოფლის საზოგადოება ისე ბრმა არის, რომ რეგვენს, ანუ ბრიყვს ჩააბაროს თავისი ბედი? არა, ეს ასე არ არის; სოფელი ყოველთვის მოწადინებულია პატიოსანი და მხნე-გამრჯელი კაცი გამოიყვანოს ხოლმე არჩევნის მოედანზე. ეს რომ ნამდვილია, ცხადად სჩანს ახლად დაყენებულ მოხელეების საქმეებიდამ. სწორედ ბედნიერება იქნება სოფლისათვის, რომ იმათმა მოხელეებმა იმ გვარი სიმხნე და სიპატიოსნე იქონიონ ბოლომდე, რა გვარ ერთგულებასაც იჩენენ ხოლმე ასლობის დროს. დიაღ! ბედნიერება ეწვეოდა სოფელს, რომ ასე იყოს, მაგრამ... მაგარი ის გახლავთ, რომ დღითი დღე კვიცი ცხენივით იხედნება მოხელეც; წინად თუ ფიცხობდა—შემდეგ დინჯდება; წინად თუ გულზე ედებოდა უგვანობა, შემდეგ აინუნშიაც აღარ მოსდის თვით უმაღლეს წერტილამდე ასული უსინიდისობა. ასეთია სოფლის ყოფა-ცხოვრება. ახალი ცოცხი ხომ ყოველთვის კარგად ჰგვის...

კახეთის სასოფლო სასამართლოები ვერ დაიკვეხებენ შესაფერ რიგიანობითა და წესიერებით. შემთხვევით რამდენისამე სოფლის სასამართლოს დავთრები გადავათვალიერე და, სწორედ გითხრათ, იმათი ვერც თავი გავიგე და ვერც ბოლო! სასამართლოს დავთრებს-კი არა, რაღაც მიკიტნის დუქნის ნისიის ქაღალდებსა ჰგვანდა! სისუფთავე, წესი მთლად განდევნილია დავთრებიდამ! წაშლა-გადაშლა, გახევ-გამოხევა ხომ აუცილებელი უნდა იყოს და არის კიდეც! ეს მეტის-მეტად სამწუხაროა, მით უფრო, რომ მოხელეები ხშირად არა სამართლიანად ასამართლებენ საქმეს და მათგან შებღალული საჩივარს გადაიტანს ხოლმე გუბერნიის საგლეხო დაწესებულებაში. საქმის გასარჩევ-გამოსარკვევად საჭიროა უსათუ-

---

აღარა ჰქონდა თავში, აღარაფერი აღარ ახსოვდა, რაც მოხდა და რაც გამოიარა; ისე იყო, თითქო ძილში თავი სრულიად დაუცარიელდაო. იგრძნო შიმშილი და რაც მოხვდა ხელში, მაშინვე შეჭამა...

. . . . . . . . . . . . . . . . .

ზამთარი გავიდა. გზა ქემის ხეობისა გაიხსნა და გაუზერის სახლობამ გასწია მთაში, თავის სახლისაკენ.

როცა ავიდნენ მთაზე, ორივე ქალები, დედა და შვილი, შესხდნენ ჯორზე და წავიდნენ ნელ-ნელა. გზაში ლაპარაკობდნენ იმ ორს კაცზედა, რომელნიც დარჩნენ საზამთროდ მთაში და რომელთაც ეს-ეს არის ეხლა ჰნახავდნენ. უკვირდათ, რომ არც ერთი და არც მეორე რამდენისამე დღის წინად არ ჩავიდნენ ძირს, რა-კი გზა გაიხსნა, და არ უამბეს დაწვრილებით, როგორ გაატარეს ზამთარი მთაში.

ბოლოს დაინახეს სახლიცა, რომელიც ჯერ კიდევ თოვლში იყო, კარსა და ფანჯარას ნამქერი ჰქონდა მიყრილი, მაგრამ ბუხრიდამ-კი ბოლი ამოდიოდა სვეტივითა. ამ ბოლის დანახვამ ცოტა არ იყოს დააშოშმინა გაუზერი.

მივიდნენ ახლოს და ყველამ დაინახა, რომ იქვე სახლის გვერდზე საკმაოდ მოზრდილი ჩონჩხი ეგდო რაღაც ოთხ-ფეხის ცხოველისა, რომელიც ალბად არწივების შეჭმული უნდა ყოფილიყო. გასინჯეს ეს ჩონჩხი...

— რა ვქნა, ეს ხომ სამია!—შიშით და თრთოლით წამოიძახა მოხუცმა გაუზერის ცოლმა.—ეი, კასპარ!—დაიძახა დედაკაცმა.

შიგნიდამ მოისმა პასუხად უცნაური ყვირილი, მძაფრი, ველური, რომელიც უფრო პირუტყვის ხმასა ჰგავანდა, ვიდრე კაცისასა.

— ეი, კასპარ!—დაუძახა ახლა გაუზერმა პასუხად კვლავ წინანდელი საზარელი ხმა მოისმა.

მაშინ მამამა და მისმა ორმა შვილმა კარის გაღება მოინდომეს, მაგრამ კარი არ იღებოდა. იპოვეს ბოსელში დიდი, მაგარი კეტი და დაუწყეს კარებს მტვრევა; ფიცრებმა დაიჭრიჭინა და კარები ჩამოვარდა. კარების ჩამოვარდნასთან ერთად მოისმა შიგნიდამ უცნაური ხმაურობა. გარედ მყოფთ შენიშნეს, რომ საჭურჭლე შკაფი კარებსა აქვს მოდგმული და იმის უკან ვიღაც ახირებულის სახის კაცი იმალება: თმა თოვლივით თეთრი ჰქონდა და მხრებამდე ეყარა გრძლადა; დიდი თეთრი წვერი გადაჰფარებოდა მკერდზედ, თვალები უგნურებისაგან საშინლად უბრწყინავდა და ტანზე ისეთი ბრანძები ეცვა, რომ ძლივს უფარავდა ტიტველს სხეულსა.

პირველად ვერავინ იცნო საცოდავი კაცი, მაგრამ ლუიზამ დაინახა თუ არა, შეჰყვირა:

„დედაჩემო, ეს ხომ ულრიხია!“ და მართლაც რომ ულრიხი იყო; მოხუცმა გაუზერის ცოლმაც იცნო გათეთრებული მოხუცი, რომელიც შემოსულებს ემალებოდა...

ულრიხმა ნება მისცა მაინც შესულიყვნენ სახლში გაუზერები, და ისიც-კი არ იუარა, როცა ხელი დააკარეს და ალერსით დაელაპარაკნენ; მაგრამ ხმა-კი არ ამოუღია, როცა მათ აჩქარებით და აღელვებით დაუწყეს ამ ამბავის გამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ საჭირო იყო ჩაეყვანათ ძირს და ექიმებისათვის ეჩვენებინათ; ექიმებმა სთქვეს, რომ ჭკუაზე შეშლილაო...

ის-კი ვეღარავინ ველარ გაიგო, რა დაემართა ულრიხის ამხანაგს. რაიცა შეეხება ლუიზას, იმ ზაფხულსავე ყველას ეგონა, რომ ველარ იცოცხლებს და მალე მოკვდებაო; ამბობდნენ, რომ ლუიზას ავადმყოფობის მიზეზი მთის ცივი ჰავააო; ამ ჰავამ მოიდნო და მოინარიკლა მისი სუსტი ჯანი და აგებულებაო.

გრ. ყ—ძე

ოდ სოფლის გადაწყვეტილებაც, მაგრამ სად იპოვი იმას? დავთრებში? შენც არ მომიკვდე! თუ კიდევ იპოვე, ვაი იმ ტანჯვას, რა წვალება-წამებაც შენ დაგადგეს იმის ძებნაში...

ქვემო კახეთს ის უპირატესობა აქვს ზემო კახეთთან შედარებით, რომ თავის ერთ ნაწილში სოფლად აქვს სწრაფელ მართლ-მსაჯული დაწესებულება, მაგრამ... მაგრამ რაღა მაგრამ, სჯობს გიამბოთ მაგალითი იმისა, თუ რამდენად სწრაფელად სწარმოებს აქ მართლ-მსაჯულება.

ამ რამდენისამე ხნის წინად იქ ირჩეოდა სახელმწიფო ტყის მცველის საჩივარი გლეხებზე. ტყის მცველი ხაზინის ტყის გაკაფვას აბრალებდა თითქმის ერთს სოფელს... თუმცა საქმე არა მცირეა (?), მაგრამ მთელი ერთი კვირა მისი გარჩევა-კი, სწორედ მოგახსენოთ, არც შესაწუხარებელია.. წარმოიდგინეთ ბრალდებულთა და მოწამეთა მდგომარეობა! ამ საქმისათვის ისინი იყვნენ მოსულნი არა ახლო სოფლიდამ, რომ სადამ-სადამობით საქმის შემდეგ შინვე დაბრუნებულიყვნენ! რა უნდა ექმნათ? ისხდნენ ერთი კვირა და შესჩიოდნენ საქმის წარმოებას. აი სწრაფად საქმის გათავება თუ გნებავთ, ეს არის და ეს! რა ეს, რა სხვა, ეს დალოცვილი კახეთის სასამართლო ყოველთვის იჩენს ხოლმე თავს ამ გვარის სასწრაფოთი! ისიც არა იშვიათია აქ, რომ შუა საქმის გარჩევის დროს მსაჯული, სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო, ანებებს სასამართლოს დარბაზს თავს და გადის მეორე ოთახში. ხალხი პირ ღია რჩება. ალბად მოსამართლე იმათ ხელმძღვანელობს, რომ საქმე მე-კი არა მაქვს, არამედ თქვენაო და მაშასადამე მოვალენიც თქვენა ხართ მელოდნეთო...

ი. კახელი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ლორდმა სალისბერიმ ამას წინად ფრიად საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვის შინაარსი დღევანდელი მდგომარეობაა ევროპის პოლიტიკისა და დიპლომატიისა. უმთავრესი აზრი ინგლისის მთავარ-მინისტრის სიტყვისა ის არის, რომ მშვიდობიანობა ევროპაში არ დაირღვევაო.

პირველად სალისბერი ლაპარაკობს ინგლისის გარეშე პოლიტიკაზე. ავღანისტანის საქმე კარგად გავათავეთო, რუსეთმა და ინგლისმა ისეთი ხელ-წერილი დავადგინეთ, რომელიც ჩვენც მოგვწონს და იმათაცა; სუეზის არხის საქმეც მოვაწყეთო.

> თუმცა ასეთი მშვიდობიანობა სუფევსო, განაგრძო ლორდმა, — ზოგიერთებს ევროპაში მაინც შიში აქვთ და მოუსვენრობასა ჰგრძნობენ; მე კი ვერასა ვხედავ დიპლომატიაში საშიშსა და საწუხარსა. ეს-კია რომ ვიდრე დიდნი სახელმწიფონი თავს არ დაანებებენ უზარმაზარის ჯარების ყოლასა და დიდ-ძალის ფულის ხარჯვას მათ შეთოფ-იარაღებისათვის, ვიდრე არ მოისპობა ქიშპი და ცილობა ამ მხრივ, იმ დრომდე ტყუილი იმედია, რომ ქვეყანაზე სრული მშვიდობიანობა დამყარდეს.

მაგრამ სალისბერი ისეთს კარგს თავენებაზე უფიქრდა ამ სიტყვის წარმოთქმის დროს, რომ ეს გარემოებაც, ესე იგი, დიდის ჯარების ყოლა, საიმისოდ საშიშ გარემოებად არ მიაჩნია პირველს მინისტრსა.

> საქმე ის არის, რომ ძლიერება ჯარებისა და აგრეთვე ის საშინელი ძალა, რომელიცა აქვთ მინდობილი ზოგიერთს ქვეყნის მმართველთ, ამ უკანასკნელთა გულში შიშსა და ხიფათსა ჰბადავს. ესენი ჰგრძნობენ, რომ საკმაოა ერთი მათი სიტყვა და აუარებელი სისხლი ნაკადულივით დაიღვრება. ამიტომ ის პასუხისგება, რომელიც იმათ აწევთ, ისეთი მძიმეა და დიდი, რომ ამის გამო მშვიდობიანობა დღეს ბევრად მეტად დაცულია, ვიდრე ყოფილა როდისმე, ისე რომ არავითარი საბუთი არა აქვს იმ შიშსა და წუხილს, რომელსაც ზოგიერთები იჩენენ. იყო დრო, როცა ყველა ჰფიქრობდა, რომ ომობენ ერთმანერთში ქვეყნისა და ერის მმართველნი და არა ერნი, რომელნიც მუდამ მოყვრობენ ერთმანერთსაო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს სიტყვები უკუღმა უნდა მოვაბრუნოთ. ეხლა ყველა ქვეყნის მმართველი, ყოველი მთავარ-მინისტრი, ყოველი ხელმწიფე, მათ რიცხვში რესპუბლიკის პრეზიდენტებიც, ბბ-ნნი გრევი და კლივლენდი, გულ-წრფელად არიან მოწადინებულნი მშვიდობიანობასა.

შიში და საფრთხე თუ მოელის მშვიდობიანობასა, ამის მიზეზი სხვა არა არის. მიზეზია თვით ერიო.

> შიში მოელის ევროპის მშვიდობიანობას უფრო ერის გრძნობათა და გულის თქმათაგან.

ასე გადააქვს სალისბერს ბრალი სხვაზე, იმორებს თავიდამ პასუხისგებას და თავზე ახვევს იმათ, ვისაც ათადან-ბაბადან დღევანდლამდე მხოლოდ მშვიდობიანობა სწყურიან და იმის მონატრულია, რომ თავისთვის იყოს, სხვას არა წაართვას-რა და სამაგიეროდ არც სხვამ წაართვას რამე.

ევროპის რუკა ასჯერ და ათასჯერ შეცვლილა, მიჯნები სახელმწიფოებისა ამდენჯერვე გადაკეთ-გადმოკეთებულა არა ერთა სურვილით, არამედ იმათის მონდომებით, ვისაც მეტი ძალა ჩაუგდია ხელში და მეტი თავ-მოყვარეობა და პატივის-მოყვარეობა გამოუჩენია.

სალისბერი ბოლოს ასე ათავებს თავის სიტყვას.

> რაიცა შეეხება თვით ინგლისს, ჩვენ მშვიდობის მეტი არა გვინდა-რა. ჩვენ გვსურს დავიცათ ყველა საპოლიტიკო ხელ-წერილები, ტრაქტატები ევროპისა, პატივის-ცემით მოვეპყრათ ყველა ერთა დამოუკიდებლობას. ეს არის პოლიტიკა ინგლისისა, პოლიტიკა ნაანდერძევი ჩვენთა ძველთაგან და ამ პოლიტიკას არც შევცვლით. ესევე სწყურიანთ ჩვენს გარდა ბევრთ სხვასაცაო.

ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო. თუ მართლა გულ-წრფელად ლაპარაკობს სალისბერი და აქ არავის თვალების ახვევა არ უნდა, მაგ ავღანისტანის საქმე რა იყო; ირლანდიის საქმე რა არის; ინდოეთის ყოფა რის მომასწავებელია?!

მაგრამ ხომ გაგიგონიათ ერთის პოლიტიკოსის, სახელდობრ, ტალეირანის სიტყვა: „დიპლომატებს ენა იმიტომა აქვთ, რომ დაჰმალონ თავიანთი აზრიო“.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** რესპუბლიკელებს მოუხდენიათ დიდი კრება, რომელზედაც იმის გამო ჰქონიათ სჯა, თუ რა ღონის-ძიება იხმარონ იმისთვის, რომ გრევი გადააყენონ სამსახურიდგან. კლემანსოს უთქვამს, რომ საჭიროა გავუგზავნოთ გრევის რესპუბლიკელ დეპუტატთა წარმომადგენელნი, რომლებმაც უნდა მოსთხოვონ გრევის სამსახურიდგან გადადგომა.

პარიჟის მწერლობის კარგა დიდი ნაწილი ძალიანა ჰკიცხავს გრევის. საზოგადოება ძლიან აღშფოთებულია; პალატას მოსდის მრავალი წერილები გრევის გადადგომის თაობაზე, ასე რომ, როგორც იუწყებიან, საპრეზიდენტო კრიზისი ამ მოკლე ხანში გადაწყდებაო. გრევი უეჭველად უნდა გადადგეს იმ წამსვე, რა წამსაც გადაწყვეტილი იქნება, რომ ვილსონი მიეცეს პასუხის-გებაში სამართლის წესით.

როგორც სხვა-და-სხვა ცნობებიდგანა სჩანს, მოხუცის პრეზიდენტის ნათესაობა ძლიან უსინდისოდ სარგებლობდა პრეზიდენტის მოხუცებულობით. ვილსონის გარდა გრევის სხვა ნათესავებსაც ბრალდება სხვა-და-სხვა მძიმე დანაშაულობა. მაგალითად, გაზეთი „Siècle“-ი მექრთამეობას აბრალებს ძმის-წულებს პრეზიდენტისას, სენატორს და ალჟირის გუბერნატორად ნამყოფს ალბერტ გრევის და სახელმწიფო საბჭოს წევრს ლეონ გრევის. ამბობენ, ვითომ ალბერტმა და ლეონმა გამოართვეს ერთს ნოტარიუსს 15,000 ფრანკი და შეჰპირდნენ ადგილს გიშოვით ან საადგილ-მამულო ნდობის საზოგადოებაში, ან და რკინის გზის უწყებაშიო. ნოტარიუსს ადგილი არ მიუღია და ალბერტს და ლეონს გრევის ნოტარიუსისათვის ფულები არ დაუბრუნებიათ. მაშინ ნოტარიუსმა მიჰმართა პოლიციის სასამართლოს და ფულები უკან დაიბრუნა; საქმე-კი გადამალეს.

**გერმანია.** გერმანიაში უკვე გადაუწყვეტიათ, თუ ვისზე უნდა გადავიდეს საიმპერიო ტახტი, იმპერატორის ვილჰელმის შვილზე თუ შვილიშვილზე. მემკვიდრე პრინცი კიდევაც რომ მორჩეს, მაინც, გადაწყვეტილებისამებრ, იმპერატორის ვილჰელმის შემდეგ ტახტზე უნდა ავიდეს შვილის-შვილი იმისი ვილჰელმი. ამბობენ, რომ იმპერატორის ბრძანებით ბისმარკის მოსვლას ბერლინში კავშირი აქვს მემკვიდრეობის საქმესთან, რომელიც უნდა გაარჩეს გერმანიის მოკავშირეთა საბჭომ. ბისმარკი დიდს მზადებაშია სარეგენტოს დაარსების გამო იმ შემთხვევისათვის, თუ მოხუცებული იმპერატორი გარდაიცვალა.

პროფესორს ვირხოვს წაუკითხავს ბერლინის საექიმო საზოგადოებაში ლექცია მემკვიდრე პრინცის ავადმყოფობის გამო. პროფესორს უთქვამს, რომ მე პასუხს არ ვაგებ იმის გამო, თუ პრინცს თავის დროზე ოპერაცია არ გაუკეთეს. ვირხოვი ძალიანა ჰკიცხავს ექიმის მაკენზის სისტემას პრინცის წამლობის დროს.

**ბოლგარია.** სოფიიდამ სწერენ გაზეთ „Temps“-ს, რომ ამბოხება ესკიზაგრაში არც ისე მცირე ყოფილა, როგორც ბოლგარიის მართებლობა ჰფიქრობსო. კორრესპონდენტის სიტყვით, ოთხი ქვეითი ბატალიონი და ერთიც საარტილერიო ბრიგადა გაუგზავნიათ ამ დღეებში მეამბოხეთა წინააღმდეგ. მომხდარა ძლიერი შეტაკება; მოუკლავთ 27 ჯარის-კაცი და 4 ჟანდარმი; დაუჭრიათ 87 ჯარის-კაცი და 17 ჟანდარმი. იმის თაობაზე, თუ რამდენი კაცი დაჰკარგეს მეამბოხეთა, ნამდვილად არაფერი იციან.

ოსმალეთის მინისტრთა საბჭოს წარუდგენია სულთნისათვის მოხსენება ბოლგარიის საქმის შესახებ. მინისტრთა საბჭო იმ აზრზე სდგას, რომ ოსმალეთმა ან რუსეთის მხარე უნდა დაიჭიროს, ან და ევროპიელ სხვა სახელმწიფოთა უნდა მიემხროსო. თუ ოსმალეთი პირველ გზას დაადგა, მაშინ საჭირო იქნება აღმოსავლეთ რუმელიის დაკავებაო; ამასთანავე საფიქრებელია ისიც, რომ ალბანიასა და კრიტშიაც გაჩნდეს საქმე და ეს ხომ შეატაკებს ერთმანერთს ოსმალეთსა და საბერძნეთსა მაკედონიისთვის. მეორე გზა, ე. ი. თუ ოსმალეთი რუსეთს გადუდგა, კიდევ უფრო საშიში იქნებაო. დასასრულ, მინისტრები ამბობენ, რომ საჭიროა მიემართოთ ამ სახელმწიფოებს, რომლებსაც ხელი უწერიათ ბერლინის ტრაქტატზე და დავეკითხოთ, თუ რა აზრზე დგანან ბოლგარიის შესახებ.

**ინგლისი.** ამას წინად ლონდონის ქუჩებში ისეთი ძლიერი უწესოება მომხდარა, როგორიც დიდი ხანია არ უნახავთ ლონდონში. პოლიციამ წინადვე გაიგო, რომ ხალხმა მიტინგი უნდა შეჰყაროსო, და გაგზავნა ტრაფალგარში 4,000 პოლიციელი. ლონდონის სხვა-და-სხვა ნაწილებიდგან და ქუჩებიდგან მოგროვდნენ მანიფესტანტები, რომლებსაც შეადგენდნენ რადიკალები, სოციალისტები და ირლანდიის სხვა-და-სხვა საზოგადოებანი. მანიფესტანტებს მოჰქონდათ ბაირაღები; თან მუსიკა უკრავდა. პოლიციელებმა გაფანტეს ხალხი. ზოგიერთ დიდ ქუჩებში პოლიციელთა და ხალხის შუა ძლიერი შეტაკება მომხდარა. ამავე დღეს ოთხს საათსა და ნახევარზე თითქმის ასი ათასი კაცი წამოვიდა ტრაფალგარისაკენ; აქავე მივიდა საცხენო ჯარი და არტილერია, მაგრამ არავითარი შეტაკება არა მომხდარა-რა. რადგანაც სადამოც დადგა, ხალხი თვითონ დაიშალა. შეტაკების დროს დაუჭრიათ ოთხასიოდე კაცი ხალხიდგან და 50 პოლიციელი; გარდა ამასა დაუჭერიათ 400 კაცი.

# წვრილი ამბები

— ბოსტონში ძეგლი აუგიათ ისლანდიის ბუნების გამომკვლეველისათვის, ლიფა ერიკსონისათვის, რომელმაც კოლუმბზე ადრე იცოდა თურმე, რომ ამერიკა არსებობს.

— ცნობილი სოციალისტთა დეპუტატი გაზენკლევერი შეშლილა და ბერლინს ახლო შენბერგის სამკურნალოში დაუმწყვდევიათ.

— ამ ჟამად ჩიკაგოში ოც-და-ათამდე კორრესპონდენტია საზღვარ-გარეთის დიდის გაზეთებისა, რათა თვალ-ყური ადევნონ გერმანიის მემკვიდრე პრინცის ავადმყოფობას. უმეტესობა ამ კორრესპონდენტებისა ინგლისიდგან არის გაგზავნილი. დეპეშათა მართულები ერთი-ორად მოუმატებიათ; ეს მართულები შეუწყვეტლივ მუშაობენ თურმე სანრემოსა, ლონდონსა, ბერლინსა და კობლენცს შორის. სულ რამდენსამე დღეში მემკვიდრე პრინცს გერმანიისა 800-მდე დეპეშა მიუღია სხვა-და-სხვა მეგობარ სახელმწიფოთაგან.

— პრინცს ფერდინანდს ბოლგარიისათვის ბოლგარიაში გამთავრების სახსოვრად დაუარსებია ჯვარი. ეს ჯვარი სამ გვარია — ოქროსი, ვერცხლისა და ბრინჯაოსი. პირველ ხარისხოვან ჯვარს აძლევენ ყველა პრინცის თანამოაზრეთა, მინისტრებსა და კარის-კაცებსა; მეორე ხარისხოვანს — ყველა აფიცრებსა და მოხელეთა და მესამე ხარისხოვანს — პრინცის მსახურთა. ჯვარის ერთს პირზე სწერია: „ღვთის შეწევნით და ერის სურვილით“ და ასო F ზას; ჯვარის მეორე პირზე ის რიცხვია აღნიშნული, როცა პრინცი ფერდინანდი სოფიაში მივიდა. 20-მდე პირველ ხარისხოვანი ჯვარი უკვე დაურიგებიათ.

— „სუტონ-დაიტოვე“ — კოტონის ანთება და ზედ რომელისამე თხზულების დაწვა, როგორც საშუალ საუკუნოებში იცოდნენ, ეხლაც ყოფილა შესაძლებელი. ქრისტიანიის სასამართლოს საჯაროდ გადაუწყვეტია, რომ ქრისტიან კროგის თხზულება „Albertina“ დაიწვასო. ამ თხზულებაში აღწერილია ცხოვრება ერთის ახალგაზდა ქალისა, რომელიც ბუნებითად ზნეობიანი და სათნოებიანია და მხოლოდ პოლიციის წყალობით იღუპება.

— პირველად რომ ჩილში ელექტრონის დეპეშა შემოიღეს, ამ გვარ სამხედრო ოსტატობისათვის მიუმართავთ, რათა დეპეშა ინდოელებს არ გაეფუჭებინათ. გენერალმა პინტომ დასტყვევა თურმე 50 ინდოელი, შემოკრიბა და უთხრა: „აი, ხედავთ იმ რკინის მართულებს? ადრევე გატყობინებთ, რომ თუ იმ მართულებს მიეკარებით, ადგილიდგან ვეღარ დაიძვრებით“. ინდოელთ გენერალის სიტყვა არ დაიჯერეს თურმე. მაშინ გენერალმა ბრძანება გასცა, რომ ელექტრონის მართულები ერთად შეაერთეთ და უთხრა ერთს ინდოელთაგანს, აბა შეიმელ და ეგ მართულები გაასწორეო. მივიდა თურმე ინდოელი, ნახა, რომ ხელები ეკრუნჩხებოდა და თავი დაანება. რაკი ერთმა ინდოელმა სცადა, გენერალმა უბრძანა, რომ ეს ამბავი საიდუმლოდ შეინახე და ნურავის ეტყვიო. ამ ოსტატობამ მოაჯადოვა ინდოელები. ინდოელებმა ეს საიდუმლო ვერ შეინახეს, ერთმანერთს გარდასცეს და ამ გვარად დეპეშა ხელ-შეუხებელი დარჩა თურმე.

— ჩიკაგოს პოლიციას ანარხისტებისათვის ნება მიუცია დასჯილ ანარხისტთა გვამი გაეცილებინათ, მხოლოდ იმ პირობით, რომ არავითარიმე ბაირაღი არ გაიყოლონ თანა, სიტყვები არ წარმოსთქვან დასაფლავების დროს და უწესოება არაფერი ჩაიდინონ. რათა ანარხისტებისათვის ხელი შეეშალათ, რომ ერთად არ შეიყარნენ და უწესოება არა მოახდინონ-რაო, პოლიციას განკარგულება მოუხდენია და საჯარო დარბაზი დაუხურავს, მაგრამ ამისდა მიუხედავად 300 ანარხისტი შეყრილა სხვა სადგომში. ანარხისტები ჰქადაგებდნენ თურმე, რომ ხვენთა მოძმეთა დასჯა ილინოის გუბერნატორსა, მოსამართლეებსა, ნაფიც-მსაჯულთა და ჯალათს გაზღვევინოთო. დასაფლავებაზე დიდ-ძალი ხალხი შეყრილა და ამათ შორის ასი გერმანელი გიმნაზიის მოსწავლე ყოფილა. კუბოები მორთული იყო თურმე ყვავილებით, წითელის ლენტებით და წითელისავე ბაირაღებით. ბევრს მანდილოსნებს წითელი კაბები ჩაეცვათ. სასაფლაოზე დიდ-ძალი სიტყვები წარმოითქვა და ამ სიტყვებში ჰკილავდნენ და ჰკიცხავდნენ თურმე მთავრობასა.

— ერთის საფრანგეთის პატარა ქალაქის მოსამართლეს, ექიმს და თავისუფალს მოაზრეს თავის გარდაცვალებულ მეუღლის საფლავის ქვაზე შემდეგი ზედწარწერა გაუკეთებინებია. „აქა მევს ის მასალა, რომლისაგანაც შესდგებოდა ესადა-ეს ქალბატონი; ამ ქ-ნმა თავის ცხოვრების აზრი 20 ოქტომბერს 1887 წელს დაჰკარგა“.

— ლონდონში გამოჩენილა ერთი ვიღაც ნოქარი, რომელიც სახით ძალიან მიემსგავსება თურმე მოცარტსა. „დონჟუანის“ იუბილეის გამო ერთმა სამუსიკო საზოგადოებამ ცხოველი სურათები გამართა თურმე და ცხოველ სურათებში მონაწილეობას იღებდა ზემოხსენებული ნოქარი მოცარტის სახელით. ეხლა ეს ნოქარი მოდაში შესულა, კეთილშობილნი მანდილოსანნი იპატიჟებენ თურმე მოცარტ II სახელით და თითო დაპატიჟებაზე 100 მან. აძლევენ. ამ დღეებში ეს ნოქარი წარუდგენიათ დედოფალ ვიქტორიასათვის, რომელიც დიდი თაყვანის-მცემელი იყო მოცარტ I-სა.

— ვარშავში განუზრახავთ ისეთი გაზეთი გამოსცენ, რომელშიაც სულ გარდაცვალებულთა ნეკროლოგები იქნება დაბეჭდილი. ბ-ნთ ნასელსკისა და შუმანს განუზრახავთ ეს გამოცემა და სახელად „გლოვის ამბები“ უნდათ დაარქვან. ამ გაზეთში დაიბეჭდება აგრეთვე გარდაცვალებულთა სურათები. გაზეთის გამოცემის მსურველთ მწერლობის საქმეთა მთავარ-სამმართველოში თხოვნა უკვე შეუტანიათ.

— მაროკკოს სულთანის ჰარამხანაში ამ დღეებში ერთი ჰარამხანის ქალთაგანი დასუსჯიათ. სულთანი ამას წინად ავად გახდა; ავადმყოფობა მიაწერეს იმ გარემოებას, რომ ერთს ტუნისელს ქალს მოუწამლავს სულთანი, რადგან სულთანი ბოლოს დროს ამ ქალს ყურადღებას აღარ აქცევდაო. მეკინეციდგან, სადაც ამ ჟამად ავადმყოფი სულთანი წევს, იწერებიან, რომ სულთანის მომწამვლელი მეტის-მეტად მშვენიერი და ლამაზი ქალია; სულთანის ბრძანებისამებრ ორმა ხოჯამ დაარჩვეს და კლდე-ღრეში გადაგდეს ქალის დარჩობილი გვამიო. ჰარამხანის ზოგიერთი სხვა ქალები, რომელთაც თავის მეგობარ ქალის განზრახვა სცოდნიათ, ჰარამხანიდგან გაუყრიათ და სასახლის მოდარაჯე ავიცრებისათვის უჩუქებიათ.

— ერთს კაცს შტიფელიცში ჰიპნოტით დაუძინებია ამას წინად ერთი ქალი და უკითხავს: დარაჯის ბრაუნის მკვლელები ვინ არიანო? მძინარე ქალს უპასუხნია, რომ ბრაუნის მკვლელები ოთხნივ ერთად ცხოვრობენ ამა-და-ამ ქუჩასა და სახლშიო. ამ კაცს ჩუმა-ჩუმიაბელ პოლიციისათვის შეუტყობინებია ეს ამბავი, პოლიცია მისულა ქალის მიერ დასახელებულ სახლში და აღმოჩენილა, რომ იმ სახლს ის-ის არის აშენებენ თურმე.

## გასართობი

რასაც არ მოიგონებს ადამიანი, ის არის საკვირველი, თორემ რასაც მოიგონებს, ის ხომ საკვირველი აღარ არის. მაგრამ რა იქნება ისეთი, რომ ადამიანს იქნამდე გონება არ მიუწვდეს, იმ საქმეს გონების თვალი არ ჩაუტაროს ძარღვებში და ადამიანის მოქნილმა ხელმა არ გააკეთოს. თითქმის დღე უოველ იგონებენ ისეთს მაშინებს, რომ ეს მაშინა ადამიანის საქმეს ადამიანზედ უკეთ აკეთებს, სამი-ოთხის კაცის სამუშაოს თითონა კისრულობს და ნაკისრი აღსრულებაში მოჰყავს კიდეც. მაგალითებრ, პარიჟში უკვე შემოუღიათ ესრედ წოდებული ტაბლის რკინის გზა, ელექტრონის შემწეობით მოსიარულე. გაშლილს ტაბლაზედ სხვათა შორის გაუვანილია რკინის გზის ლიანდაგი; ეს ლიანდაგი ხის მშვენიერს ფეხებზეა დაყენებული. ამ ლიანდაგზე დადის პაწაწა ვაგონები ბაქნებითურთ, მიაქვს სტუმრებთან ახალი საჭმელი და ცარიელ თეფშებს აგროვებს. ლიანდაგი გაყვანილია ტაბლიდგან სამზარეულომდე, ან საკუჭნაომდე, სადაც ვაგონებს სცლიან და შიგ ახალს საქონელს აწყობენ. რკინის გზის სიარული ელექტრონის ღილზეა დამოკიდებული და სტუმართ ისა ჰმასპინძლობს, ვინც უფრო ახლოა ზის ამ ღილთან.

ეს კიდევ არაფერი. ეს პაწაწა რკინის გზაა, რომლის ვაგონები ნელ-ნელა მოძრაობენ. საკრამენტოში, ამერიკაშია, ერთს სასტუმროს პატრონს თავის სასტუმროში ელექტრონის მოსიარულე რკინის გზა შემოუღია; ამ სასტუმროში უველა მუშტარს შეუძლიან ცალკე, საგანგებო მატარებელი მოითხოვოს. მუშტარი შედის სასტუმროში, სადაც თორმეტი ტაბლა დგას; თითო ტაბლაზე ხუთი კაცი მოთავსდება. თითოეულს ტაბლაზე აწყვია საჭმელების სია. მუშტარი ამოირჩევს ამ სიაში მოხსენებულს რომელსამე საჭმელს, აგდებს ლითონის ხონჩაზე, რომელიც იქვე ტაბლაზედა დევს, და ხელს დააჭერს ელექტრონის ღილს; ეს ხონჩა რკინის გზით მიდის სამზარეულოში, თან საჭმელების სია მიაქვს და იქიდგან მომზადებულის საჭმელითა ბრუნდება უკან. უველა ეს ამბავი საჩქაროდ სწარმოებს, არავითარიმე ხმაურობა არ გააქვს და ამასთან ისე რიგიანად და წესიერად მოაქვს პაწაწა რკინის გზას საჭმელი, რომ მატარებელზედ დადგმული სავსე ჭიქა შამპანურის ღვინოსი, ან წყლისა ერთი წვეთი არ დაიქცევა და ამას ხომ ძალიან მოხერხებული მსახურიც-კი ვერ შეიძლებს ხოლმე. რაღა თქმა უნდა, რომ სასტუმროში მსახურთა ფეხი არა ჩანს, რადგან სრულიად საჭიროენი არ არიან. სასტუმროს მუშტარი პურსა სჭამს, წამოდგება და თავზე მსახური არ დაადგება მოვალესავით ჩარა-ჩარა, მაჩუქე რამეო. ამ მსახურთა ფულის თხოვნისაგან ხომ უველას თავი მობეზრებული აქვს. ამ გვარად ამ ახალმა მოგონილმა პაწია რკინის გზამაც პირში გამოაცალა ლუკმა დიდ-ძალ ხალხსა, რომელნიც სასტუმროებში მსახურებენ. ეს უქმად მჭამელი ხალხი ეხლა უფრო ჯაფიანს საქმეს მოჰკიდებს ხელსა და სხვებს არ დააწვება კისერზედ.

## დეპეშა

11 ნოემბერი

**სტამბოლი.** სულთანი იმ აზრისაა, რომ არავითარსამე გარდაწყვეტილებას არ დავადგები ბოლგარიისა და ეგვიპტის საქმის გამო იმ დრომდე, ვიდრე ჩემის ბერლინელ ელჩისაგან ამბავი არ მომივა ხელმწიფე იმპერატორისა და იმპერატორის ვილჰელმის ერთმანერთის ნახვაზედაო. ეჭვი არ არის, რომ იმპერატორები ნახვის დროს ერთმანერთს დაარწმუნებდნენ, ვითომ ორივენი მშვიდობიანობის დაცვას იყვნენ მოწადინებულნი.

სხვა-და-სხვა ხმა დადის იმის გამო, ვითომ ავსტრია ურჩევს სულთანს, რომ პრინცი ფერდინანდი ბოლგარიის მთავრად აღიაროს; ამას იმასაც უმატებენ, რომ ამ გარემოებას ინგლისიც კეთილის თვალით უყურებსო. ამასთან უნდა ვთქვათ, რომ ეს ხმები საიმისოდ სარწმუნო არ არის.

**სოფია.** ბოლგარიის საერო კრების წევრთა უმეტესობამ მოილაპარაკა და გარდასწყვიტა, რომ კრებაში წინადადება შეიტანოთ, რათა დევნა დაუწყონ კარაველოვსა, ცანკოვსა და ნიკიფოროვსაო.

**პეტერბურგის ბირჟა, 10-ს ნოემბერს.**

**ფ ა ს ე ბ ი:**

| | მყიდვე-ლის ფასი | გამყიდ-ველის ფასი | გაყიდუ-ლის ფასი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 8 97 |
| ტამოჟნის კუპონები | — › | — › | $179^3/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — › | — › | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგებიანი ბილეთი | — › | — › | 266 |
| — მეორისა | — › | — › | $237^1/_2$ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — › | — › | — › |

**საკალენდარო ცნობანი**

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ნოემბერი 30 დღით არის

**13 დღე პარასკევი.** წმ. იოანე ოქროპირისა და წმ. მოწ. ანტონისა. კათოლ. წმ. ალმს. სტანისლავ კოსტკასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-11 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—სტავროპოლის დაარსდა სასულიერო სემინარია, 1846 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 7—0, ჩადის 4—34. მთვარე 11 დღისაა.

**14 დღე შაბათი.** წმ. მოციქ. ფილიპესი და იუსტინიანე მეფისა. აღების ღამე შობის მარხვისა. კათოლ. წმ. მოწ. პაპა მარტინესი. სომეხ. მოციქ. ანდრიასი და ფილიპესი. მუსულ. მე-12 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. დაბადება და გარდაცვლა წინასწარ-მეტყველისა მაჰმედისა (სუნიტ.).—დაბადება მისის დიდებულების იმპერატორის მეუღლის მარია თეოდორეს ასულისა, 1847 წ.—ზაქათალაში გენ. ვულიაკოვს ძეგლი აუგეს, 1845 წ.—თ. ანდრონიკაშვილმა გაიმარჯვა ოსმალებზე ახალციხესთან და გამარჯვებულს დარჩა ბანაკი მტრისა, 11 ზარბაზანი და მრავალი ქონება, 1853 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 7—1, ჩადის 4—33. მთვარე 12 დღისაა.

**15 დღე კვირა.** წმ. გურიასი, სამონისა და აბიბოსი. დაწყება შობის მარხვისა. კათოლ. წმ. ქალწ. გერტრუდასი. სომეხ. აღების ღამე ჰისნაკის მარხვისა. მუსულ. მე-13 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 7—2, ჩადის 4—32. მთვარე 13 დღისაა.

**16 დღე ორშაბათი.** წმ. მოციქულ-მახარებელ მათესი. კათოლ. წმ. ალმსარ. დიდაკასი. მუსულ. მე-14 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 4—32. მთვარე 14 დღისაა.

**17 დღე სამშაბათი.** წმ. გრიგოლ საკვირველ-მოქმედისა, მოწ. გობრონისა და 133 სხ. კათოლ. ქალწ. მოწ. დედოფ. სალომესა. მუსულ. მე-15 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. სიკვდილი ეზიდასი.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 7—5, ჩადის 4—31. მთვარე 15 დღისაა.

**18 დღე ოთხშაბათი.** წმ. პლატონისა, რომანოსისა და მეზვერე ზაქესი. კათოლ. წმ. მოციქულთა პეტრესი და პავლეს ეკკლესიის კურთხევა. სომეხ. მე-3 დღე ჰისნაკის მარხვისა. მუსულ. მე-16 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 7—6, ჩადის 4—31. მთვარე 16 დღისაა.

**19 დღე ხუთშაბათი.** წინ. - მეტყ. ავდიასი, ღირსისა ვარლამისა, იოასეფისა და წმ. ილარიონისა. კათოლ. წმ. დედოფალ ელისაბედისა. მუსულ. მე-17 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—7, ჩადის 4—31. მთვარე 17 დღისაა.

**20 დღე პარასკევი.** ღირსისა გრიგოლისა. კათოლ. წმ. აღმსარ. ფელიქს ვალისელისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-18 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 4—30. მთვარე 18 დღისაა.

**21 დღე შაბათი.** ტაძრად მიყვანა წმ. ღვთის-მშობლისა მარიამისა. ესევე ფრანგთა და სომეხთათვისაც. მუსულ. მე-19 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—9, ჩადის 4—30. მთვარე 19 დღისაა.

**22 დღე კვირა.** წმ. ფილიმონ მოციქულისა. კათოლ. ქალწ.-მოწ. ცეცილიასი. მუსულ. მე-20 რიცხვი თვისა რებიულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—10, ჩადის 4—30. მთვარე 20 დღისაა.

**23 დღე ორშაბათი.** წმ. ეპისკ. ანფილოქესი. კათოლ. წმ.-მოწ. პაპა კლიმენტისა. სომეხ. წმ. ქალწ. იულიანასი და ვასილისასი. მუსულ. მე-21 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წესდება უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა, 1871 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—11, ჩადის 4—30. მთვარე 21 დღისაა.

**24 დღე სამშაბათი.** დიდის ქალწ.-მოწ. ეკატერინასა და ავგუსტასი დედოფ. კათოლ. წმ. იოანესი. სომეხ. წმ. ლუკიანე მღვდელისა და სხვათა. მუსულ. მე-22 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 7—12, ჩადის 4—30. მთვარე 22 დღისაა.

**25 დღე ოთხშაბათი.** წმ. კლიმენტისა. კათოლ. წმ. ქალწ.-მოწ. ეკატერინესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-23 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 7—13, ჩადის 4—30. მთვარე 23 დღისაა.

**26 დღე ხუთშაბათი.** წმ. ავლიპი მესვეტისა. კათოლ. წმ. ეპის. აღმსარ. გრიგოლ საკვირველ-მოქმედისა. სომეხ. წმ. კლიმენტისა და ბაგრატ ეპისკოპოსისა. მუსულ. მე-24 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—14, ჩადის 4—30. მთვარე 24 დღისაა.

**27 დღე პარასკევი.** მოწ. იაკობ სპარსელისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-25 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—15, ჩადის 4—30. მთვარე 25 დღისაა.

**28 დღე შაბათი.** წმ. მოწ. სტეფანესი, ვასილისა და სხვათა. კათოლ. სალამოს ღვთის-მსახურება წმ. ანდრია მოციქულისა. სომეხ. წმ. მოციქულ და პირველ განმანათლებელ სომეხთა თადეოსისა და ბართოლომესი. მუსულ. მე-26 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 7—16, ჩადის 4—30. მთვარე 26 დღისაა.

**გამოსადეგი ცნობანი**

**ნიხრი**

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | › |
| › 2 › | $2^1/_2$ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | $3^1/_2$ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | 4 | › |
| მე-3 — | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი | 13 | › |
| ძროხის ხორცი | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (უველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემა მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტოსიდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, აწყრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი


წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია და წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ-დღე 11—2 საათამდე შუა-დღის უკან; ხოლო კვირა-უქმეობით 12—1 საათამდე.

ქართული სამკითხველო წიგნთ-საკითხავი, რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩაზე, იარმუკის ბოლოში, მე-14 №-ში, ღიაა ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ 9 საათამდე. წიგნთ-საკითხავში შესვლა და წიგნების იქვე კითხვა, თუ გარედ წაღება, შეუძლიან ყველა წოდების კაცს. წიგნის კითხვისათვის არავის არავითარი ფასი არ გამოერთმევა.

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул. домъ Сараджева) ისყიდება შემდეგი ახლად შემენილი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა | „ | 30 |
| ბუნების კარი, მისივე | „ | 75 |
| კოკორი, მისივე | „ | 10 |
| კონა, მისივე | „ | 50 |
| ხომლი, მისივე | „ | 30 |
| კუნწულა, მისივე | „ | 40 |
| დედანი, მისივე | „ | 30 |
| შალვას თავ-გარდასავალი, გად. ცისკელისა | „ | 20 |
| ლექსნი ალ. ჭავჭავაძისა | „ | 30 |
| თხზულებანი ანტონოვისა | 1 | „ |
| მეფე ლირი, შექსპირისა, ნათარგ. ი. მაჩაბლისა და ი. ჭავჭავაძისა | „ | 60 |
| სამ-გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| კახეთის ისტორია, დ. ბაქრაძის რედაქციით | 3 | „ |
| მშობლი სიტყვა | „ | 20 |
| ნაკვესი | „ | 20 |
| ქართული მწერლობა: | | |
| 1) გურამიშვილი | „ | |
| 2) საბა სულხან ორბელიანი. | „ | |

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან.**

გამგეობა ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკისა თებერვლის 17 1881 წ. დამტკიცებულ წესდების მე-15 § ძალით აცხადებს, რომ დეკემბრის 12 ამ 1887 წ., შუადღის 12 ს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხედ, ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, არწრუნისეულ სახლებში, გაისყიდება უძრავი ქონება ვაჭრობის განუმეორებლად (უპერეტორჟკოდ) ქვემოდ მოხსენებულ პირთა, რომელთაც თავის დროზედ არ შემოუტანიათ ხვედრი ფული, როგორც დაწესებულია ბანკის წესდების 13, 14, 15, 17, 18 და 19 პარაგრაფებით.

ა) არა ურთიერთობრივის თავდებობით გაცემული სესხები

I ქალაქის მამულები

პოლტარაცკი, ივანე ეგნატეს ძე: ორი ორ სართულიანი ქვითკირის სახლი ორის ფლიგელით და შენობით, მიწა ზომით $321\frac{2}{3}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თბილისში, 1 განყ. 1 ნაწილში, ოლგას ქუჩაზე, თავნი ვალი 20,045 მან. 32 კაპ. შემოსატანი 2287 მან. 60 კაპ. სულ 22,332 მან. 93 კაპ.

